RFCDC ანიმაციების გამოყენების გზამკვლევი სასწავლო პროცესში

ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს საფუძველზე შექმნილი ანიმაციები განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლის დირექტორებისთვის. რესურსის მიზანია, დაეხმაროს სასკოლო საზოგადოებას RFCDC (Reference Framework of Competences for Democratic Culture) ანიმაციების ეფექტიან გამოყენებაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, სასკოლო კულტურისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარების პროცესში.

I. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის

RFCDC ანიმაციები წარმოადგენს მულტიმედიურ პედაგოგიკურ ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს აბსტრაქტული ცნებების (ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარები, ცოდნა და კრიტიკული გააზრება) კონკრეტულ და მოსწავლეებისთვის გასაგებ კონტექსტში წარმოჩენაში. ანიმაციები საშუალებას იძლევა, რომ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის შესაძლებელი გახდეს სამიზნე სიტუაციების რეალურად წარმოდგენა და გათავისება.

<u>1. გამოყენების ეტაპები გაკვეთილზე</u>

ა) ანიმაციები შესაძლოა გამოვიყენოთ გაკვეთილის დასაწყისში, ან გამოწვევის ფაზაზე, თემის ინიცირებისთვის და მოტივაციის ასამაღლებლად. მაგალითად, პატივისცემასთან დაკავშირებული ანიმაციის ნახვის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას – „რა განსხვავება შეამჩნიეთ პერსონაჟებს შორის და როგორ აისახა ეს მათ ურთიერთობაზე?“

ბ) რესურსი შესაძლოა გამოვიყენოთ გაკვეთილის მიმდინარეობისას, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის. მაგალითად, ანიმაცია შესაძლოა, გავწყვიტოთ საკვანძო მომენტზე და დავსვათ შეკითხვა – „რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა კონკრეტულ პერსონაჟს და რა ალტერნატიული ქმედება შეეძლო?“

გ) რესურსი შესაძლოა გამოვიყენოთ გაკვეთილის ბოლოს, რეფლექსიისა და პირადი პოზიციის ჩამოყალიბებისთვის. მაგალითად, მოსწავლეები წერენ მოკლე ტექსტს თემაზე: „რას ვისწავლე ამ ანიმაციიდან და როგორ გამოვიყენებ ამას რეალურ ცხოვრებაში?“

<u>2. შეფასება</u>

ანიმაციების გამოყენება შეგვიძლია შეფასების მიზნითაც. მასწავლებელი შეიძლება დააკვირდეს დისკუსიაში მონაწილეობის, არგუმენტირების ხარისხს, საკუთარი აზრის ჩამოყალიბების პროცესს და თანატოლებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებას.

II. გზამკვლევი მოსწავლეებისთვის

RFCDC ანიმაციები დაგეხმარებათ, უკეთ გაიგოთ საკუთარი და სხვების ქცევების შესახებ და უკეთ გაიცნოთ ის საზოგადოება, რომლის ნაწილიც ხართ. ანიმაციები ასახავს რეალურ სიტუაციებს, სადაც ხშირად საჭიროა არჩევანის გაკეთება.

<u>1. სიღრმისეულად გააზრება</u>

ანიმაციის ნახვისას, ეცადეთ, ყურადღება მიაქციოთ არა მხოლოდ ამბავს, არამედ პერსონაჟების ქცევებს, მათ მოტივებსა და შედეგებს. მაგალითად, დაფიქრდით, როგორ შეიძლება კონფლიქტის სხვაგვარად გადაწყვეტა ისე, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს.

<u>2. ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება</u>

ანიმაციებში ნაჩვენები სიტუაციები ხშირად ჰგავს სკოლის, ოჯახის ან ონლაინსივრცის რეალურ გამოცდილებას. ეცადეთ, ნანახი ანიმაციები ხშირად გამოიყენოთ ყოველდღიურ ურთიერთობებში და ისაუბროთ ერთმანეთთან მათ შინაარსზე.

III. გზამკვლევი სკოლის დირექტორებისთვის

სკოლის დირექტორის როლი მნიშვნელოვანია ზოგადად დემოკრატიული კულტურის დანერგვაში. დირექტორების მიერ RFCDC ანიმაციების სისტემური გამოყენების წახალისება შეიძლება გახდეს სკოლის ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურის განვითარების ნაწილი.

<u>1. სტრატეგიული დაგეგმვა და დანერგვა</u>

ანიმაციების ინტეგრირება შესაძლებელია სხვადასხვა დონეზე: საგაკვეთილო პროცესში, კლასის საათებში, პროექტულ სწავლებასა და მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში. მაგალითად, შესაძლოა წაახალისოთ ანიმაციის განხილვა მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრაზე და ხელი შეუწყოთ დისკუსიას თემაზე – „როგორ შეგვიძლია მეტი მოსწავლის ჩართვა სკოლის გადაწყვეტილებებში?“

<u>2. პროფესიული განვითარება და მხარდაჭერა</u>

დირექტორს შეუძლია გამოიყენოს ანიმაციები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შეხვედრებზე, როგორც დისკუსიისა და გამოცდილების გაზიარების სტიმული. სასურველია, სკოლის შიგნით შეიქმნას სივრცე, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს გაუზიარებენ ანიმაციების გამოყენების წარმატებულ პრაქტიკებს.

RFCDC ანიმაციების გამოყენება ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების სხვა აქტივობებში

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც ატარებენ ტრენინგებს მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისთვის და საგანმანათლებლო საზოგადოებისათვის დემოკრატიული მოქალაქეობის, ადამიანის უფლებებისა და RFCDC კომპეტენციების თემებზე.

მოცემული რეკომენდაციების მიზანია, დაეხმაროს ტრენერს RFCDC ანიმაციების მიზნობრივ, გააზრებულ და ინტერაქციულ გამოყენებაში.

ტრენინგის ჩატარება შეუძლია მიზნობრივად მომზადებულ მოსწავლეს, მასწავლებელს, დირექტორსა და სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ პირს.

I. ტრენინგის მიზნები

- RFCDC კომპეტენციების არსის გააზრება;
- ანიმაციების გამოყენება, როგორც ტრენინგის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი;
- მონაწილეთა რეფლექსიის, დისკუსიისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა;
- მიღებული ცოდნის სწავლებაში გადატანის მხარდაჭერა.

II. ტრენერის როლი

ტრენერი არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადამცემი. მისი მთავარი როლია, შექმნას უსაფრთხო, ღია და თანამშრომლობაზე ორიენტირებული სივრცე, სადაც ანიმაციები გახდება დიალოგის, კრიტიკული აზროვნებისა და თვითრეფლექსიის სტიმული.

III. ტრენინგის რეკომენდებული სტრუქტურა

<u>1. შესავალი და ძირითადი იდეა</u>

ტრენინგის დასაწყისში ტრენერმა უნდა გააცნოს მონაწილეებს RFCDC-ის კონცეფცია და დააზუსტოს, რომ ანიმაციები არ იძლევა „სწორ პასუხებს“, არამედ აჩენს კითხვებს.

2. ანიმაციის გამოყენება/მიდგომა

ანიმაციის ჩვენება რეკომენდებულია მცირე სეგმენტებად. ყოველი ჩვენების შემდეგ მნიშვნელოვანია დისკუსია და გამოცდილების გაზიარება.

მაგალითად, პატივისცემასთან დაკავშირებულ თემაზე მუშაობისას, ტრენერი სვამს კითხვებს:
- რა გრძნობები გამოიწვია ანიმაციამ?
- რომელი ქცევები აძლიერებდა/აზიანებდა ურთიერთპატივისცემას?
- როგორ ვიქცევით მსგავს სიტუაციებს სკოლაში?

IV. სამუშაო მეთოდები

- მცირე ჯგუფებში განხილვა;
- ანიმაციის სცენარის მიხედვით მოულოდნელი პერსპექტივების განსაზღვრა;
- შემთხვევის ანალიზი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური რეფლექსია.

მაგალითად, მონაწილეები განიხილავენ პერსონაჟის ქცევას და ადგენენ, მსგავს სიტუაციაში, რა პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს, მოსწავლეს ან ადმინისტრაციას.

V. სკოლაში გადატანა

მნიშვნელოვანია, ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა დაგეგმონ, როგორ გამოიყენებენ ანიმაციებს სკოლაში.
- რომელ კლასში ან საგანში გამოვიყენებ ამ ანიმაციას?
- რომელ კომპეტენციაზე გავაკეთებ აქცენტს?
- რა სირთულეებს ველოდები და როგორ დავძლევ?

VI. შეფასება და რეფლექსია

ტრენინგის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მონაწილეთა ჩართულობას, რეფლექსიის სიღრმეს და პრაქტიკული გეგმების რეალისტურობას.

შეფასების ინსტრუმენტები შეიძლება იყოს:
- რეფლექსიური კითხვარი;
- ზეპირი უკუკავშირი;
- მოკლე წერილობითი გეგმა.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

ღირებულებები

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება;
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება;
- დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

დამოკიდებულებები

- კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა;
- პატივისცემა;
- მოქალაქეობრივი აზროვნება;
- პასუხისმგებლობა;
- თავდაჯერებულობა;
- გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.

კომპეტენციები

უნარები

- დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები; ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები;
- მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები;
- ემპათია;
- მოქნილობა და შეგუების უნარი;
- ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;
- კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები.

ცოდნა და კრიტიკული აზროვნება

- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;
- ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება;
- მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება